საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 68 05/12/2016

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის # 62 განკარგულებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების შემადგებლობების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდესის“ 24–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63–ე მუხლის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 27-ე მუხლის ნე-4 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. შეტანილი იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის # 62 განკარგულებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების შემადგებლობების დამტკიცების შესახებ“

1. შეტანილ იქნეს ცვლილება განკარგულების მე-3 პუნქტში და საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობიდან გამოყვანილი იქნეს გელა გოლუბიანი.
2. საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობიდან გელა გოლუბიანის გამოსვლა მიღებული იქნეს ცნობად.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 –ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე